



დოკუმენტის დამტკიცების თარიღი  
და ბრძანების ნომერი: 15.10.2018 წელი,  
ბრძანება N 91, დანართი N 2.

ევროპის უნივერსიტეტის  
მედიცინის ფაკულტეტის ტუტორის დებულება

2018

წელი

# დოკუმენტის შინაარსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები .....	3
მუხლი 2. ტუტორის პოზიციის შექმნის მიზანი და საქმიანობა .....	3
მუხლი 3. ტუტორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები.....	3
მუხლი 4. ტუტორის პოზიციის დასაკავებელი მოთხოვნები და შერჩევის კრიტერიუმები.....	3
მუხლი 5. ტუტორის არჩევის და განაცხადის შეტანის წესი.....	4
მუხლი 6. ტუტორის კონკურსის პროცედურა.....	5
მუხლი 7. ტუტორის სამუშაო დრო და ანაზღაურების წესი .....	6
მუხლი 8. დასკვნითი დებულებები.....	6





## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ევროპის უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ტუტორის დებულებით რეგულირდება ლექტორის თანაშემწის საქმიანობის მიზანი, ფუნქციები, პასუხისმგებლობა, პოზიციაზე არჩევისთვის განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები, არჩევის წესი და სხვა.

## მუხლი 2. ტუტორის პოზიციის შექმნის მიზანი და საქმიანობა

2.1. ევროპის უნივერსიტეტში ტუტორის პოზიციის შექმნის მიზანია ფაკულტეტის მაღალი კურსის სტუდენტების მიერ (არანაკლებ მე-8 სემესტრის სტუდენტი) დაბალკურსელების აკადემიური და პერსონალური განვითარების ხელშეწყობა.

2.2. ტუტორი სტუდენტებს ხვდება ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფებში (არაუმეტეს 4 კაციანი ჯგუფი) და ეხმარება მათ სწავლის პროცესში; ასევე პირადი ან/და პროფესიული განვითარების საკითხების მოგვარებაში, სხვადასხვა უნარ-ჩვევების შეძენასა და თვითგანვითარებაში.

2.3. ტუტორი მუშაობს ტუტორების კოორდინატორის ზედამხედველობის ქვეშ, რომელიც თავის მხრივ პასუხისმგებელია ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

## მუხლი 3. ტუტორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები

ტუტორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები:

ა) სტუდენტის/სტუდენტების პირადი და პროფესიული განვითარების, სხვადასხვა უნარ-ჩვევების შეძენასა და ზოგადად თვითგანვითარებისათვის ხელშეწყობა სტუდენტთა მცირე ჯგუფებში (არაუმეტეს 4 კაციანი ჯგუფისა);

ბ) სტუდენტების კარიერული განვითარებისათვის ხელშეწყობა;

გ) სტუდენტების აკადემიური და ინდივიდუალური მიღწევების ხელშეწყობა სხვადასხვა მიმართულებით;

დ) ლექტორებსა და სტუდენტებს შორის მუდმივი ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა;

ე) სტუდენტთა მცირე ჯგუფებისათვის ტუტორთა დისკუსიების, ერთობლივი პროექტების ორგანიზება, ან მცირე ჯგუფებში სასწავლო სესიების ჩატარება მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით.

## მუხლი 4. ტუტორის პოზიციის დასაკავებელი მოთხოვნები და შერჩევის კრიტერიუმები



4.1. ტუტორის პოზიციის დასაკავებლად სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) მაღალი აკადემიური მოსწრება;
- ბ) სტუდენტებთან, ადმინისტრაციულ და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან, ასევე გარე პირებთან კომუნიკაციის კარგი უნარები, განურჩევლად მათი ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა;
- გ) ლიდერული უნარები, პრობლემების გადაჭრისა და გადაწყვეტილების დროული მიღების, სტუდენტთა საჭიროებების გამოვლენისა და მათზე სწრაფი რეაგირების უნარები;
- დ) კარგი ინტერპერსონალური უნარები ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან მიმართებაში, შიდა და გარე ურთიერთობების განხორციელების შესაძლებლობები;
- ე) წერის კარგად განვითარებული კულტურა; სხვადასხვა სოციალური და მედია საშუალების გამოყენების ცოდნა (ელ.ფოსტა, ქსელები და ა.შ.);
- ვ) გუნდური მუშაობის უნარი, შეხვედრებში აქტიური მონაწილეობა და ჩართულობა;
- ზ) ორგანიზებულობა, მაღალი მოტივაცია, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა;
- თ) კონსტრუქციული უკუკავშირის უზრუნველყოფის უნარი;
- ი) დამოუკიდებლად მუშაობის უნარი;
- კ) სემინარებსა და ტრენინგებში მონაწილეობისთვის მზადყოფნა.

4.2. შერჩევის კრიტერიუმები

ტუტორის პოზიციაზე დაინიშნება სტუდენტი, რომელსაც:

- გააჩნია აქტიური სტუდენტის სტატუსი;
- მიღებული აქვს სულ ცოტა 60 კრედიტი;
- აქვს მაღალი აკადემიური მოსწრება (შეფასდება GPA-ს საფუძველზე);
- აქვს ტუტორობის მოტივაცია;
- აკმაყოფილებს წინამდებარე დებულების მე-4 მუხლის 4.1. პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## მუხლი 5. ტუტორის არჩევის და განაცხადის შეტანის წესი

1. ტუტორის არჩევის მიზნით ცხადდება კონკურსი;

2. კონკურსის გამოცხადებიდან საკონკურსო განაცხადში მითითებულ ვადაში კონკურსანტი უფლებამოსილია წარმოადგინოს განაცხადი და ქვემოთ ჩამოთვლილი შემდეგი დოკუმენტები:

- ა) სამოტივაციო წერილი - ერთგვერდიანი ესე ახსნა-განმარტებით, თუ რატომ სურთ ტუტორის პოზიციის დაკავება;
- ბ) რეზიუმე/CV;





გ) 2 სარეკომენდაციო წერილი: სასწავლო კურსის ლექტორის (ნებისმიერი) და სასწავლო პროცესის მენეჯერებისაგან.

ელ.ფოსტის მისამართი: studentinfo@eu.edu.ge

3. საკონკურსო განაცხადების მიღების დასრულების შემდეგ, საკონკურსო კომისია განიხილავს საკონკურსო განაცხადებს და იღებს გადაწყვეტილებას ტუტორის არჩევის შესახებ.

## მუხლი 6. ტუტორის კონკურსის პროცედურა

ა. პოზიციებზე კონკურსის გამოცხადება;

ბ. საკონკურსო კომისიის ფორმირება;

გ. კანდიდატების წარმოდგენილი განაცხადისა და დოკუმენტაციის შეფასება;

დ. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება;

ე. ხელშეკრულების ხელმოწერა

6.1. განაცხადის წარდგენა:

ა) განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას მხოლოდ ელექტრონულად, მოთხოვნილი დოკუმენტების სრული პაკეტით. არასრულად წარმოდგენილი დოკუმენტაცია არ განიხილება.

ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნას ოფიციალურ ელ.ფოსტის მისამართზე: (studentinfo@eu.edu.ge)

გ) განაცხადის უარყოფა (reject) :

დ) მედიცინის ფაკულტეტის საკონკურსო კომისია უფლებამოსილია ნებისმიერ ეტაპზე უარყოს კანდიდატის განაცხადი, თუკი იგი ვერ აკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს, არასრულია ან შეიცავს ყალბ ინფორმაციას.

6.2. საკონკურსო კომისია განისაზღვრება შემდეგი შემადგენლობით:

ა) ფაკულტეტის დეკანი;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი;

გ) ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი.



## მუხლი 7. ტუტორის სამუშაო დრო და ანაზღაურების წესი

- 7.1. ტუტორის პუზიციაზე შერჩევის შემთხვევაში სტუდენტთან ფორმდება ხელშეკრულება;
- 7.2. ტუტორის სამუშაო დრო განისაზღვრება კვირაში 4 (ოთხი) სამუშაო საათით;
- 7.3. ტუტორის პოზიცია არაანაზღაურებადია.

## მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

- 8.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
- 8.2. წინამდებარე დებულებაში ცვლილებები და დამატებები შედის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

